ბოხვაური თანამედროვე გურული სოფლისთვის დამახასიათებელი შუქ-ჩრდილებით

თემურ მარშანიშვილი

სოფელი ბოხვაური ქალაქ ოზურგეთიდან, როგორც გურულები იტყვიან, ორი ფეხის ნაბიჯზეა. თუ მანქანით მიდიხარ, დიდი-დიდი ერთი ანეკდოტის თქმა მოასწრო, ქვეითად მიმავალმა კი, თუ გვერდით თავმომწონე ბოხვაურელი მოგყვება, თავისი სოფლის 15-20-წუთიანი ხოტბა მოისმინო. კარგად მესმის ბოხვაურელებისა, წარმოუდგენელია ასეთი მიწის, ცის, რელიეფის, ასეთი ზნეობის, კულტურის, არაერთი სასიქადულო მამულიშვილის აღმზრდელი სოფლით არ ტრაბახობდე, არ ამაყობდე.

ბოხვაურის თემში ორი სოფელია გაერთიანებული – თვით ბოხვაური და ჭალა, პირველში 450 კომლია, მეორეში – 200. სამწუხაროდ, სოციალური სიდუხჭირე, როგორც გურიის სხვა სოფლებში, ამ თემშიც თვალში საცემია.

კითხვაზე – თუ რამდენი სოციალურად დაუცველი ადამიანი ცხოვრობს აქ, – ბოხვაურის ტერიტორიულ ერთეულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, 24 წლის **გიორგი არობელიძე** ასეთ პასუხს გვაძლევს: „მე თუ მკითხავთ, აქ ყველა სოციალურად დაუცველია“.

როგორც სოფლის ცენტრში ეკლესიის ქვის ღობის კეთებით დაკავებულმა ბოხვაურელებმა გვითხრეს, ასეთი პირდაპირობისა და სიმართლისთვის უყვართ ეს ახალგაზრდა კაცი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პროფესიით მშენებელი ინჟინერი. ბოხვაურელებს უბირი სიტყვა არ დაცდენიათ არც სოფლის მაჟორიტარ დეპუტატ გელა ჩავლეშვილზე და არც ტერიტორიულ ერთეულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავარ წარმომადგენელ გოჩა ჭეფხოძეზე, რომლებმაც, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოახერხეს ჩვენთან შეხვედრა.

გიორგი არობელიძის თქმით, აქაური მრევლი დიდად ემადლიერება ადგილობრივ ბიზნესმენ მამუკა მუჯირს, რომლის სახსრებითაც აიგო და მოქმედებს წმინდა სოფიას სახელობის ეკლესია. მისივე ინფორმაციით, წლეულს ბოხვაურში კაპიტალურად შეკეთდა სბავშვო ბაღი, ნასათიბარის უბანში გაკეთდა სტადიონი და ჭალაში მოეწყო ქუჩის განათება. გაზიფიცირებულია მთელი სოფელი ახლა, პირველ რიგში, უნდა მოწესრიგდეს გზა და მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნეს სასმელი წყლით.

ბოხვაურელთა ძირითადი შემოსავალი თხილი, კივი და

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №47 (10137), 30 ნოემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

მიწის საკითხებზე დებატებმა კომისიაში გადაინაცვლა

ალიონი. მოიმატოს თუ არა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე გადასახადმა, ამ თემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიაზე გაიმართა დეპუტატთა დებატები.

სდომას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძე და კომისიის თავმჯდომარე დავით ჭაკნელიძე უძღვებოდნენ.

თავდაპირველად ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ილია მამალაძემ** თავისი არგუმენტი წამოაყენა: – ჩვენი რეგიონის მიწები უმეტესად მწირია. 10 წელი სჭირდება რაიმე კულტურა რომ გააშენო და სრულმოსავლიანი გახდეს. გლეხს გადასახადს რომ გაუძვირებ, სტიმულს ართმევ.

ნუგზარ კალანდარიშვილი, სოფელ მაკვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი: – არჩევნები კარებზე გვაქვს მომდგარი. ჩვენ მიწის გადასახადის გაძვირებას ვგეგმავთ. სახელმწიფო სუფსიდიებს გვაძლევს, რომ ხალხს დაეხმაროს.

ვამბობთ „მამული, ენა, სარწმუნოება,“– თუ მამული გამიყიდე, რა დაგვრჩება საქართველოდან?

თუ ჩემს შვილებს, მომავალ თაობას 2-3 წლის შემდეგ წინ ცუდად დახვდება ის კანონი, რომელსაც მე ხელი ავუწიე, რა მინდა ასეთ საკრებულოში?

იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, რაღაც შეღავათი მივცეთ ხალხს, და არა მიწის გადასახადის გაძვირებაზე ვიფიქროთ. ასე არ ხდება სხვა რეგიონებში და ჩვენ რატომ გავხდით პირველები? ეს თემა საერთოდ არ უნდა შემოსულიყო საკრებულოში განსახილველად.

დავით ჭაკნელიძე:– აღმასდეპუტატი: – არჩევნები კარებზე გვაქვს მომდგარი. ჩვენ მიწის გადასახადის გაძვირებას ვგეგმავთ. სახელმწიფო სუფსიდიებს გვაძლევს, რომ ხალხს დაეხმაროს.

გვ-3

ააშენებენ თუ არა ოზურგეთში ტყვიის ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოს?

ნუგზარ ასათიანი

მკითხველს შევახსენებთ გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნებულ სტატიებს: „ტყვიის წარმოება ოზურგეთის მოსახლეობის ჯანმრთელობას ემუქრება;“ „ინდოელი ინვესტორების საქმიანობა მოსახლეობაში კვლავ ეჭვებს ბადებს;“„ადნობენ თუ არა ტყვიას კუსტარულად უცხოელები ოზურგეთის ყოფილ მანქანათმშენებლობის ქარხანაში“ (№41, 42, 2014 წ. ვებ-გვერდი **alion.ge**)

ამ სტატიების საფუძველი ქ. ოზურგეთის ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება იყო, სადაც ისინი ოზურგეთის მანქანათმშენებელ ქარხანაში ინდოელი ინვესტორების მიერ აკუმულიატორების გადამუშავებისას მოსახლეობისათვის ეკოლოგიურ საფრთხეებზე საუბრობდნენ და ხელისუფლებიდან ქმედით დახმარებას ითხოვდნენ.

– ზაფხულის დასაწყისიდან მოყოლებული, მთელი უბანი შეწუხებული ვართ, იმ უცნაური სუნით, რაც მანქანათმშენებელ ქარხანაში აკუმულიატორების გადამუშავებისას იქმნება – ცალკე, როცა „კროშკას“ ამზადებდნენ და ცალკე ტყვიის გადადნობისას. ისინი ძირითადად ღამით მუშაობდნენ და ამ დროს სუნთქვა გვიჭირს. ვიცით, რომ შპს „მანსაროვს“ მსგავსი საამქრო სამტრედიაშიც ჰქონდა, მაგრამ იქაური მოსახლეობის მოთხოვნით ააღებინეს. ახლა აქ აპირებენ დიდი საამქროს გაკეთებას– განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ ლალი ნაკაიძემ...

ორიოდ სიტყვით ინდურ-ქართული შპს შესახებ.

შპს „მანსაროვის დამფუძნებლები ერვინდ კუმარ შარმა და აშვანი მატალი არიან. ამის შემდეგ ერვინ კუმარ შარმამ ქართველ პარტნიორთან ერთად შპს „ჯეოგდამამუშავებელი“ შექმნა, რომლის დირექტორიც ამანპრიიტ სინგ ბჰალლაა... სწორედ მათ ეკუთვნით პროექტი (ქართველ პარტნიორთან ერთად),,ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული ტყვიის აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაცია“. საკონსულტაციო ფირმა შპს „ჯეოკონია“ (დირექტორი რევაზ რჩეულიშვილი.)

იმდენად დიდი იყო ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს აშენების წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება, ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა (ნუგზარ ასათიანი -„ალიონი,“ ვლადიმერ მენაბდე -„გურიის მოამბე,“ გიორგი გირკელიძე -„გურია ნიუსი,“ გოჩა ჭანიშვილი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი) საქართველოს პარლამენტის ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს მიმართეს. (ამ წერილში სოფ. მერიაში, ქ. ოზურგეთში ანასეულის დასახლებასა და ოზურგეთის მანქათმშენებელ ქარხანაში შექმნილ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე იყო საუბარი).

ამონარიდი წერილიდან:

„...5. გთხოვთ, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად განიხილოთ ქალაქ ოზურგეთში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ამჟამინდელი მესაკუთრე ინდური კომპანიის უკანონო ქმედება, რაც ტყვიის ჩამოსხმის მცდელობაში გამოიხატება. ქარხნის მიმდებარე ტერიტორიის გარშემო მცხოვრები მჭიდრო მოსახლეობის საპროტესტო წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „ალიონში,“ რის შემდეგაც დროებით შეაჩერა მუშაობა ინდურმა კომპანიამ, მაგრამ სამუშაო პროცესის განახლებას ეკონომიკის სამინისტროს ნებართვის შემდეგ კვლავ გააგრძელებს, რაც ყოვლად დაუშვებელია, რადგან მათი

გვ-4

მიწის საკითხებზე დებატებმა კომისიაში გადაინაცვლა

რულებელმა ხელისუფლებამ იშრომა, შემოიტანა საკითხი და დავაყენეთ საჯარო-ადმინისტრაციულ განხილვაზე.

ლევან კილაძე, სოფ. მელექედურის მაჟორიტარი დეპუტატი:– სახელმწიფო დავალიანებების ჩამოწერას ახორციელებს. ჩვენ გადასახადებს ვზრდით?

ილია მამალაძე:- საკრებულო ბიუჯეტს ზერელეთ იხილავს. ბიუჯეტი არ არის გაწერილი. კონკრეტულად რა თანხები მიდის საბავშვო ბაღებზე, გზაზე და ა.შ. არ ვიცით...

ვახტანგ ნიჟარაძე, სოფელ ვაკიჯვრის მაჟორიტარი დეპუტატი:– არგუმენტები მიწის გადასახადის გაზრდის შესახებ არადამაჯერებელია. დახმარების მაგივრად, სოფლის მოსახლეობას გადასახადი უნდა გავუზარდოთ. სოფ. ვაკიჯვარში დ.ა-ს აღებული აქვს 5 ჰექტარი საძოვარი, სადაც ყვავილოვანი მცენარეების ტყე გააშენა. მეფუტკრეობას მისდევს. ისეთი მთაგორიანი ადგილია, იქ რაიმე კულტურას ვერ მოიყვან. გაზრდადმდე ვერ იხდიდა გადასახადას და გაზრდის შემთხვევაში გადაიხდის?

დიმიტრი კვერღელიძე:-საკრებულოს სხდომაზე ამ საკითხის განხილვას არ დავსწრებივარ. დებატებზე ვიყავი წასული ოპონენტებთან- ნაცმოძრაობის წევრებთან. მე არ ვარ მომხრე გადასახადის გაზრდის. აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს შემოსავლების გაზრდას, მაგრამ ეს უნდა იყოს შეთანხმებული პოლიტიკურ გუნდთან. ქვეყანა არსებობს გადასახადებით. ხელისუფლებამ გაზარდა აქციზი. მწეველებს გავუძვირეთ ცხოვრება? რატომ არაფერი არ თქვით, 883 000 ლარს რომ ვხარჯავთ კულტურაში? რატომ არაფერი არ თქვით ბიუჯეტის პროექტში პრემიების მუხლი რომაა ჩადებული? მიწის გადასახადის თემაზე თუ თქვენი პირადი ინტერესია ჩადებული, ძალიან ცუდია. თუ თქვენ გაგიძვირდებათ გადასახადი, კამათში არ უნდა მიიღოთ მონაწილეობა, საკრებულოს სხდომაზე პოზიციის დაფიქსირებაზე თავი უნდა შეიკავოთ, კენჭისყრაში არ მიიღოთ მონაწილეობა. ესაა შინაგანი კულტურა. თუ გინდათ დავაკლოთ მიწის გადასახადი და 73 ლარის ნაცვლად 70 გავხადოთ.

ნუგზარ კალანდარიშვილი:– დასაჭერი კაცი ვყოფილვარ, რადგან 2 ჰექტარი მიწა მაქვს შესყიდული და თხილი გაშენებული. მე მაგ 20 ლარის დამატების პრობლემა არ მაქვს, მაგრამ სხვებს წავართმევთ სტიმულს...

შემდეგ იყო აზრი, რომ არასასოფლო მიწებისთვის მოემატებიათ გადასახადი, მაგრამ კომისიამ საბოლოოდ მხარი არ დაუჭირა აღმასრულებელი ხელისუფლების წინადადებას მიწის გადასახადის გაზრდის შესახებ.

თუმცა, ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' თავმჯდომარე გოჩა კილაძემ გამოთქვა აზრი, რომ საკრებულოს სხდომამდე ამ საკითხზე ,,ქართული ოცნების'' ფრაქციაში იმსჯელებენ.

კომისიის სხდომის დასრულებისას საკრებულოს სპეციალისტმა გივი ყაზაიშვილმა საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 45 მუხლის მე-4 პუნქტი წაიკითხა:- ,,მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი ან მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები გამოიყენოს პირადი ინტერესებისთვის. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი თქვას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ამ საკითხის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე და კენჭისყრაზე, რომლის მიმართ აქვს პირადი ინტერესი, ან არსებობს გარემოებანი, რომელიც გავლენას ახდენს საკითხის გადაწყვეტისას.

ისე, ბოლო 20 წლის მანძილზე არ გვახსენდება რამდენიმე მოწვევის საკრებულოს რომელიმე დეპუტატს ამ მოტივით უარი ეთქვას საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგეობას 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნა

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტზე, საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე, კომისიებსა და ფრაქციებში აქტიური განხილვების შემდეგ, საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

მოსახლეობის ინფორმირებულობის და მათი ინტერესების გათვალისწინების მიზნით, საზოგადოებრივი დარბაზის, მედიის წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების ჩართულობით, ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაც მოეწყო.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი''-ს 91-ე მუხლის მე-4 პუნქტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 86-ე მუხლის მე 4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, მისი საჯარო განხილვის პროცესში შემოსული სათანადო შენიშვნებით, წინადადებებითა და რეკომენდაციებით აღმასრულებელ ხელისუფლებას 25 ნოემბერს დაუბრუნდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნები და ინიციატივები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ვერ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის სტანდარტებს, რომელიც განსაზღვრულია ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის 385 ბრძანებით.

მიგვაჩნია, პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა, თქვენ მიერ წარმოდგენილი ტრადიციული, ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით, მდგომარეობს იმაში, რომ იგი საშუალებას იძლევა ორიენტირებული იყ-ოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ პროგრამებში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და დაგეგმილ (მოსალოდნელ) შედეგებს შორის.

აუცილებელია პროგრამული ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშგებისას ნათლად გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ განხორციელებული ღონისძიებები და ათვისებული ასიგნებანი; შესაბამისად ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგებს შორის არსებულგანსხვავებზე და არა მხარჯავი დაწესებულებების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებაზე.

2. წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტი არ პასუხობს ჩვენ მიერ განსახორციელებელ ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ, ანუ იგი უნდა მოიცავდეს ძირითად, სტაბილურად განვითარებად მიმართულებებს, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს არ უნდა ექვემდებარეობდეს, რადგან იგი ამავდროულად გვაწვდის ინფორმაციას თითოეული პრიორიტეტის პროგრამულ ნაწილსა და აღწერილობით ნაწილზე.

ამ კუთხით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2019 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება 2015-2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისაგან, რაც ჩვენი მოსაზრებით პოლიტიკურადარასწორია.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პრიორიტეტების დოკუმენტი დალაგდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;

3. ბიუჯეტის შემოსულობების მაჩვენებელში 2016 წლის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გეგმიური მოსაკრებელი (კოდი 14151) წარმოდგენილია 49.4 ათასი ლარის ოდენობით. მიზანშეწონილია აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდოს მიმდინარე წლის გეგმიურ მოცულობამდე და შეადგინოს 180,0 ათასი ლარი;

არაა დაგეგმილი შემოსავლები მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (2015 წლის ბიუჯეტის შესაბამისი გეგმა 30,0 ათას ლარს შეადგენს) .

მიზანშეწონილია შემოსავლების აღნიშნული გეგმა (კოდი 14154) განსაზღვროს 30,0 ათასი ლარის ოდენობით.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ოზურგეთი ს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს მინიმუმ 160,0 ათასი ლარით და ნაცვლად 8338,0 ათასი ლარისა შეადგინოს 8498,0 ათასი ლარი.

4. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაში გათვალისწინებულია პრემია 177,8 ათასი ლარის ოდენობით.

საკრებულოს მიაჩნია, როგორც 2015 წელს, ასევე 2016 წელსაც წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა უარი უნდა თქვან პრემიალურ თანხებზე.

5. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მუხლი ''კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები''(ორგ კოდი 05 00) დაფინანსდეს 883,3 ათასი ლარით.

განსაკუთრებით გადასახედია შესაბამისი დარგის ა.(ა) ი. პ.-ის დაფინანსება.

6. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაზიარებულ იქნას სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის ინიციატივა, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში 150,0 ათასი ლარით გაიზარდოს ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია '' მუხლის (ორგ კოდი 05 00) დაფინანსება;

7. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაფინანსდეს შემდეგი სოციალური პროგრამები:

- ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' ინიციატივა: დაფინანსდეს ჰედაგოგთა მგზავრობის ღირებულება როგორც მუნიციპალურ, ასევე კომერციულ მარშრუტებზე.

ამ პროექტის დაფინანსებისათვის საჭიროა 60,0 ათასი ლარი

- ფრაქცია ,,ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის'' ინიციატივა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარების მიზნით მოხმარებული ბუნებრივი აირის კომუნალური გადასახადის დაფინანსება (დეკემბერში, იანვარში, თებერვალში, მარტში – 10–10 ლარი, დანარჩენი თვეებში – 5 –5 ლარი). წლიურად პროექტის ღირებულება შეადგენს 38,0 ათას ლარს.

8. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ,,C ჰეპატიტით დაავადებულ პირების კვლევის დაფინანსების პროგრამა'' (ორგ. კოდი 06 02 15) დაფინანსდეს 100%-ით. პროექტის ღირებულება შეადგენს 40,0 ათას ლარს

9. პროექტის განმარტებით ბარათში წარმოდგენილი ბიუჯეტის შემოსულობების მაჩვენებლები და ცხრილის ფორმატით მოცემული შემოსულობების მაჩვენებლები ერთმანეთს არ ემთხვევა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩასწორდეს აღნიშნული შეუსაბამობა.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ბიუჯეტის ,,ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში'' საჯარო განხილვისას, მადლობა გადაუხადა ,,საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირსა'' და ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის'' გურიის წარმომადგენლობას'' ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას გამოთქმული შენიშვნებისა და შემუშავებული რეკომენდაციებისათვის, რომლებიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის მომავალი წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტში.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის შოთა გოგიბერიძის ბრიფინგის პრესრელიზი

2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ არ ჩატარებულა ისეთი ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები, რაც ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ 8 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით განახორციელა.

ამ ხელისუფლების პირობებში უპრეცედენტოდ ხალხმრავალმა მიტინგებმა, მანიფესტაციამ, უვადო შიმშილობამ, რომელიც ,მთავრობის კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიის გარდა, ქვეყნის ყველა რეგიონში და მათ შორის გურიის რაიონებში მიმდინარეობდა, შედეგი გამოიღო.

მმართველი გუნდის ლიდერების – ყოფილი პრემიერისა და მოქმედი პრემიერის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ, ,,ქართული ოცნების პოლიტსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებისა და სამართლიანი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფისათვის ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დაყენებული მოთხოვნებისა და საკანონმდებლო ინიციატივების საპარლამენტო ფორმატში განხილვების დაწყების შესახებ.

მოლაპარაკების პროცესის დაწყებამ განაპირობა საპროტესტო აქციების დროებითი შეჩერება. თუმცა, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ, თუ კვლავ დარჩება კითხვითი ნიშნები ჩვენი ძირითადი მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით, ვიტოვებთ უფლებას, საპროტესტო აქციები უფრო დიდი სიმწვავით განვაგრძოთ.

მადლობას ვუხდით ჩვენს მრავალრიცხოვან მხარდამჭერებს მოშიმშილეთა მიმართ გამოხატული სითბოსა და გულისხმიერებისთვის, სოლიდარობისთვის.

გამარჯვებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგმულია, ხოლო მპლაპარაკებათა მიმდინარეობა გვიჩვენებს ჩვენ მიერ დაწყებული პოლიტიკური პროცესის პერსპექტივებს.

სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე უმთავრესი სწორედ სამართლიანი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობაა, აღარ უნდა განმეორდეს 2014 წლის ოზურგეთი და ლანჩხუთი და 2015 წლის მარტვილი და საგარეჯო. 25 წელია საზოგადოება სამართლიანობის დამკვიდრებას ითხოვს. ჩვენი ბრძოლა სამართლიანია და აუცილებლად მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას.

ქალაქ ოზურგეთში 2015 წლისთვის განსაზღვრული გზის საფარის დაგების სამუშაოები დასრულდა

წელს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქალაქის 16 ქუჩის მოასფალტება, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობის მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა. წლების განმავლობაში ფეხით მოსიარულეებს, გადაადგილება ტროტუარის ნაცვლად ქუჩაში უხდებოდათ, რაც თითოეული მოქალაქის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი გახლდათ. ამჟამად ქალაქში გზების დახაზვის სამუშაოები მიმდინარეობს, რაც საბოლოდ დაარეგულირებს, როგორც სატრანსპორტო საშუალებების, ასევე, ქვეითად მოსიარულეთა გადაადგილების საკითხს. გზების მოასფალტების სამუშაოები მომავალ წელსაც განხორციელდება და ქალაქის დანარჩენ ნაწილს მოიცავს. ხსენებული სამუშაოების შესასრულებლად 2 738 771 ლარი იხარჯება.

მდინარე ბჟუჟზე ნაპირდამცავი გაბიონი ეწყობა

ბაქრაძის ქუჩაზე, მდინარე ბჟუჟის ნაპირდამცავი გაბიონის სამუშაოები განახლდა. განახლებული სამუშაოები ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ, საკრებულოს დეპუტატმა ლევან თოიძემ და ქალაქის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა მერაბ წივწივაძემ მოინახულეს. ხსენებული ქუჩის მობინადრეების სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს ადიდებული მდინარე გამუდმებით საფრთხის ქვეშ აყენებდა. სამუშაოების დროებით შეჩერების მიზეზი პროექტში ცვლილებების შეტანა გახლდათ. ,,ვერ დავუშვებ, რომ სამუშაოები ზედაპირულად შესრულდეს, ამიტომ ვამჯობინებ, პროექტი ცოტათი დროში გაიწელოს და ხარისხიანი გამოვიდეს. მინდა, მოსახლეობამ თავი დაცულად იგრძნოს და უსაფრთხო და მოწესრიგებულ გარემოში იცხოვროს“ - აღნიშნა ქალაქის მერმა. 698 677 ლარის ღირებულების პროექტს, რომელიც ხელშეკრულების პირობების თანახმად 2016 წელს უნდა დასრულდეს, უცხოური საწარმოს ფილიალი “ინშაათ საქართველო“ ასრულებს.

რეპორტაჟი ბოხვაურიდან

ბოხვაური თანამედროვე გურული სოფლისთვის დამახასიათებელი შუქჩრდილებით

ერთწლიანი კულტურებია. თხილის წლევანდელი მოსავლით კმაყოფილები არიან, კივი ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ დაუკრეფავია, ხოლო სიმინდის მოსავალი და სხვა ჭირნახული ძირითადად დაბინავებულია. ადრე ხანძარს შთაუნთქავს ბიბლიოთეკა და კლუბი, კიდევ ერთი კლუბი ჭალაშიც იყო, მაგრამ მათ აღდგენაზე, სამწუხაროდ, არავის უფიქრია, არადა, ბოხვაურში წიგნიერი და კულტურული ხალხია, რომელიც ღირსეული მომავალი თაობის აღზრდისათვის სამართლიანად ითხოვს უკეთეს პირობებს.

სოფლის ყველაზე ნათელი წერტილია საჯარო სკოლა, სადაც ამჟამად მხოლოდ 116 მოსწავლე სწავლობს, მეხუთე კლასში, მაგალითად, სულ ხუთი ბავშვი ირიცხება, ეს მაშინ, როცა სკოლის შენობა 500 ბავშვზე იყო გათვლილი და მასში ადრე 400-ზე მეტი სწავლობდა კიდეც. სოფლიდან მოსახლეობის მიგრაცია და ის, რომ ბავშვების ნაწილი ქალაქის სკოლებში გაედინება, ზღვაში წვეთია იმ პრობლემასთან, რასაც აქ შობადობის შემცირება ჰქვია.

სოფლის მცხოვრებთა თქმით, ამდენი დაუოჯახებელი ახალგაზრდა და ახალგაზრდობას გაცილებულიც ბოხვაურს არასოდეს ჰყოლია, რაც, რასაკვირველია, საგანგაშოა!

რა ხდება სკოლაში? უფრო სწორად რა არ ხდება! თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ბოხვაურის საჯარო სკოლა ტრადიციას არ ღალატობს და ერთ-ერთი საუკეთესოა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებში. როგორც სკოლის დირექტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა თამარ ყურაშვილმა გვითხრა, 10 დეკემბრისთის ის თავის ანგარიშს წარუდგენს სკოლას წლეულს გაწეული მუშაობის შესახებ და არ უნდა მოვლენებს წინ გაუსწროს. შევთანხმდით, რომ ამ ანგარიშს საგაზეთო თემად ვაქცევდით, მანამდე კი, რაც ვნახეთ, იმის ინფორმაცია მკითხველამდე მივიტანდით: სკოლაში 24 პედაგოგი ასწავლის პროფესიონალურად, საფუძვლიანად შედეგებიც სახარბიელო აქვთ. აქ კარგი მოსწავლე დასახელდა, იმდენი ოლიმპიადებში, ფესტივალებსა თუ კონკურსებში გამარჯვებული გაგვაცნეს, რომელიმე რომ არ გამოგვრჩეს, ისევ სკოლის დირექტორის ანგარიშს დავეყრდებით, კიდევ ერთხელ გადავამოწმებთ და მათ ვინაობას შემდეგ გამოვაქვეყნებთ.

სკოლაში უფრთხილდებიან ძველს და ამკვიდრებენ ახალს. ისეთი ქართული ენის კაბინეტი, როგორიც ბოხვაურის საჯარო სკოლაშია (ჯერ კიდევ 1986 წელს, ციური ცხომელიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობის დროს გაუკეთებიათ), ბევრი არსად გვინახავს, არც იმდენი ნოვაცია დაგვიფიქსირებია სხვაგან, როგორც აქ, კაკლის ხეივანით დაბურულ სკოლის ეზოში.

განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, სკოლა ზოგჯერ საკუთარი ფინანსებით წყვეტს ინფრასტრუქტურულ პრობლემებს. ზამთრის სეზონისთვის სწორედ ამ გზით ჩასვეს ერთ-ერთ სასკოლო ოთახში მეტალოპლასტმასის ფანჯრები. სკოლაში მოგვარებულია გათბობის პრობლემაც, შეძენილი, მოტანილი და დამუშავებულია საკმარისი რაოდენობის შეშა.

სკოლიდან საბავშვო ბაღში გადავინაცვლეთ. მენეჯერი მარინა მამალაძე რომელიც 29 წელია ამ ბაღს მუშაობს, კმაყოფილია ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით ჩატარებული რემონტით.

,,არანაირ პრობლემა არ გვაქვს, ყოველდღიურ ყურადღებას ვგრძნობთ ადგილობრივი ხელისუფლებიდან, ჩვენი ა(ა)იპ-იდან. სულ ოცდაერთი აღსაზრდელი გვყავს, რომელთაც 11 თანამშრომელი ემსახურება. კონტიგენტი ძალიან შემცირდა. იყო დრო, როცა ბოხვაურის საბავშო ბაღში 4 ჯგუფი ფუნქციონირებდა. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გაუმჯობესებულია კვება. სამზარეულოში შემოყვანილია ბუნებრივი აირი. გათბობა ჯერჯერობით შეშით გვაქვს, რადგან გაზით ძალიან ძვირი ჯდება. რამდენადაც ვიცი, მომავალში დაგეგმილია ბუნებრივი აირით გათბობაზე გადასვლა“,– გვითხრა მენეჯერმა.

დიდი სურვილი გვაქვს, რომ ბოხვაური, სადაც სანდო და იმედიანი ხალხი ცხოვრობს, საქართველოს კერაჩაუქრობელი და ღადარგაუცივებელი სოფლების ჩამონათვალში ვიხილოთ როგორც ახლო მომავალში, ისე შორეულ პერსპექტივაში. საამისოდ კი, უპირველესად, სოფლად სწორი აგრარული პოლიტიკის გატარება და თითოეული ბოხვაურელის მუხლჩაუხრელი გარჯაა საჭირო.

ააშენებენ თუ არა ოზურგეთში ტყვიის ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოს?

შემთხვევაში, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება ადგილობრივი მოსახლეობა.“

აღნიშნულზე ზვიად კვაჭანტირაძემ (№ 5137-41; 27.05.2015 წ.) ჟურნალისტებს აცნობა, რომ *„თქვენი №24876 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში შექმნილ მდგომარეობას, გაცნობებთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მე მქონდა პირადი შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და მას წერილობით გაეგზავნა თქვენი განცხადება, რის საფუძველზეც, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.*

აღნიშნულმა ჯგუფმა გამართა სამუშაო შეხვედრები და ვითარების ადგილზე შესწავლის მიზნით იმყოფებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. მითითებული ტერიტორიების დათვალიერების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება (იხ. დანართი)

გიგზავნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან გამოგზავნილ წერილს.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით, ზვიად კვაჭანტირაძე.!

2014 წლის 26 დეკემბერს ვითომდა ახალი საწარმოს მშენებლობის პროექტის განხილვა გაიმართა (რომელსაც თურმე დაინტერესებული მოსახლეობა არ დაესწრო, მხოლოდ „ჯეოგადამამუშავებელი“ და გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალისტები ესწრებოდნენ (?!) გაგაცნობთ ამონარიდს გარემოს დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თეიმურაზ მურღულიას წერილიდან (№1767, 23.03. 2015 წ.):

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს ქალბატონ **მაია ცქიტიშვილს**

ქალბატონო მაია,

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი (№9811, 03.02.2015 წ.) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის შექმნილი სავალალო მდგომარეობის შესახებ საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად კვაჭანტირაძის წერილის თაობაზე.

....რაც შეეხება სოფ. ლიხაურში ვადაგადასული და მწყობრიდან გამოსული ტყვიის აკუმულიატორებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას, გაცნობებთ, რომ გარემოდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ-ცენტრალური სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელებული ინსპექტორების შედეგად საწარმოს მშენებლობის ფაქტი არ დადასტურდა. ასევე, არსებული ინფორმაციით, შპს „***GEO REGYCLING***“-ზე ეკოლოგიური ექსპერტის დასკვნა გაცემული არ არის. რაც შეეხება შემოღობილ ტერიტორიაზე საწარმოს დაგეგმილ მშენებლობას, საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნით, კომპანიიდან გამოთხოვილი იქნა სათანადო დოკუნენტაცია.

დანართი 1გვ. (აქტი, 5.03.2015 წ.)

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

თეიმურაზ მურღულია.

მოყვანილი დოკუმენტები ეჭვის ქვეშ აყენებს 2014 წლის 26 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში თითქოსდა შემდგარ „განხილვას,“ რომლის შესახებაც არათუ ექადიის მოსახლეობისათვის, ჟურნალისტებისთვის არავის უცნობებია.

2015 წლის 20 აგვისტოს გაზეთ „რეზონანსში“ (№221) გამოქვეყნდა დამოუკიდებელ ჟურნალისტ გორა ჭანიშვილის სტატია „გურიაში მოულოდნელი და მოსალოდნელი საფრთხე დროს არ დაელოდება,“ სადაც სხვა საფრთეებთან ერთად ინდური კომპანიის არალეგალურ საქმიანობაზე იყო საუბარი.

მაგრამ გაუგებარია, როცა სამინისტროს ვებ-გვერდზე დაიდო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯეო გადამამუშავებელი“-ს „ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული ტყვიის აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა, რატომ მიმდინარეობს ზემოაღნიშნული საწარმოების მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესწავლა“(იხ. გურიის გუბერნატორის პასუხი).

გაზეთი „ალიონი“კომპანია „ჯეოგადამამუშავებელის“ მენეჯერს, **სალომე ქათამაძეს** ესაუბრა:– ოზურგეთში შარშან, 26 დეკემბერს გაიმართა ჩვენი პროექტის განხილვა. განხილვის შესახებ იუწყებოდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდი და გაზეთი „გურიის მოამბე.“რატომ არ მოვიდა მოსახლეობა ვერ გეტყვით.

–ჟურნალიტები რატომ არ მიიწვიეთ?

–ვერ გეტყვით.

–ადგილობრივი ხელისუფლებიდან ვინ ესწრებოდა?

–არ ვიცი. დაინტერესებული მხარეები იყვნენ. „ჯეოგადამამუშავებელი“ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები(?!)

–იმედია შეხვედრის ოქმს, ან ჩანაწერს გაგვაცნობთ....

რას აპირებს „ჯეოგადამამუშავებელი:“

უნდა ააშენონ ერთი მბრუნავი ღუმელი, რომელიც ცვლაში 3,5 ტონა კაზმს გამოუშვებს, ხოლო მეორე –შახტური ღუმელი 24 საათში 8 ტონა კაზმს გამოუშვებს.(თუ რა ეკოლოგიური გათვლები აქვთ პროექტში ამას სპეციალისტების კომენტარებით გაზეთ „ალიონის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

საინტერესოა, რა მდგომარეობაშია ამჟამად ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხანა. მას შემდეგ,რაც უცხოელმა ინვესტორებმა ქარხნის უნიკალური დაზგა-დანადგარების უმეტესობა ირანსა და თურქეთში გაიტანეს,ნაწილი ჯართად აქციეს, ქარხნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საამქრო დაანგრიეს. როგორც გავიგეთ, ქუთაისში გამოჩნდა „კლიენტი“ და საამქროს ფერმებს და სხვა კონსტრუქციებს იმერეთის მთავარ ქალაქში გადაიტანენ.

ადგილობრივი მანქანათმშენებლები, რომლებიც ამჟამად შპს „ოზურგეთის მძიმე დანადგარები“არიან გაერთიანებული,ოჯარით არიან ამჟამად ამ შენობაში, ფარ-ხმალს არ ყრიან და დღესაც საინტერესო დანადგარებს ქმნიან. შპს დირექტორი რამაზ მახარაძე მართალია არ ადასტურებს,მაგრამ ერთ-ერთი სპეციალისტმა გაზეთ „ალიონს“ გაუმხილა, რომ აქ აუტანელი მდგომარეობაა, ქარხანას ნაწილ-ნაწილ ანგრევენ და ალბათ აქაურობის დატოვება მოუწევთ.

ერთ-ერთმა ისიც გვითხრა, „ჯეოგადამამუშავებელის“ ქართველი პარტნიორები ქარხანაში მოსვლისას, ხშირად აქებენ წინა ხელისუფლებას, რომელმაც მათ ყველაფრის უფლება მისცა ახლა კი საამქროს გახსნა შეუფერხდათ...

ჩვენ კომენტარი ტყვიის გადამამუშავებელი საამქროს მშენებლობასთან დაკავშირებით გურიის გუბერნატორს **გია სალუქვაძეს** ვთხოვეთ:

– ოზურგეთში არავითარი მავნე საწარმო არ აშენდება. უფრო მეტიც, გარემოს დაცვის უარყოფითი სახის ზეგავლენის მოხდენის კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები. გუბერნატორის ადმინისტრაციაში შემოსული მოსახლეობის თხოვნისა და მედიაში არაერთგზის გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ჩვენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვთხოვეთ აღნიშნული საკითხის შესწავლა. სამინისტროდან სულ ორიოდე დღის წინ შესაბამისი პასუხიც მივიღეთ: „შპს „მანსაროვარი“-ს საქმიანობას, სამმართველოს მიერ, გარემოს ეროვნული საგენტოსა და გუბერნიის წარმომადგენელთან ერთად, განხორციელდა სოფელ ლიხაურში განთავსებული შპს „მანსაროვარი“-ს კუთვნილი, ყოფილი ექსპერიმენტული მანქანათმშენებლობის ქარხნის ტერიტორიის შესწავლა-დათვალიერება. დათვალიერებით გაირკვა, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია პოლიპროპილენის გადამამუშავებელი და ლითონის ნაკეთობათა საამქროები და სასაწყობე მეურნეობები. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული ერთი შენობა შპს „ჯეოგადამამუშავებელი“-ს ოჯარით აქვს აღებული შპს „მანსაროვარი“-საგან, რომელშიც დაგეგმილია აკუმულატორების ჯართის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა. ამჟამად მიმდინარეობს ზემოაღნიშნული საწარმოების მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესწავლა“- გამოვლენილი დარღვევებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ კი დამატებით გვეცნობება, რის შედეგადაც საზოგადოება იქნება ინფორმირებული. რაც შეეხება საწარმოს გაფართოებას ჩვენთვის არავის მოუმართავს. მომართვის შემთხვევაში კი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან პასუხს დაველოდებით.

მორიგი ცვლილებები ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 27 ნოემბრის რიგგარეშე სხდომაზე ცვლილებები და დამატებები შეიტანა „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილებაში.

2015 წლის საქართველოს მთავრობის 10 ნოემბრის №2420 განკარგულების თანახმად, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 300 000 ლარი. აღნიშნული ცვლილება ბიუჯეტში მიიმართება შემდეგ პროგრამულ კოდზე:

03 02 04 - კეთილმოწყობის სამუშაოები – გაიზარდა 300 000 ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით).

აღნიშნული თანხის განაწილების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ინფრასტრუქტურის მიერ (მოხსენებითი ბარათი №2066).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №2419 განკარგულების თანახმად, 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და გამოყოფილი თანხა შემცირდა 145 ლარით, ცვლილება განხორციელდა შემდეგ პროგრამულ კოდზე:

03 02 04 – კეთილმოწყობის სამუშაოები - შემცირდა 145 ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის №2529 განკარგულების თანახმად, მიმდინარე წელს მომხდარი სხვადასხვა სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 250 000 ლარი. ბიუჯეტში საჭირო გახდა ცვლილების განხორციელება შემდეგ კოდზე:

03 02 02 – ბინათმშენებლობა – გაიზარდა 250 000 ლარით (სხვა ხარჯების მუხლი).

ინფორმაცია განკარგულებით გამოყოფილი თანხების განაწილებაზე პროექტების მიხედვით წარმოდგენილია ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ დანართის სახით (დანართი №1).

სხდომამ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით, უფლებამოსილება გაუგრძელა შესაბამის დროებით სამუშაო ჯგუფს.

ინფორმაცია – წარმოების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი

ეკონომიკური მეცნიერება კაპიტალიზმის პირმშოა, რაც დაახლოებით ოთხ საუკუნეზე ცოტა მეტს მოიცავს, თუმცა სოლიდურ დონეს მიაღწია მხოლოდ მაშინ, როცა ადამ სმიტის "ხალხთა სიმდიდრე" გამოქვეყნდა (1776 წ).

ამ პერიოდში მაკრო და მიკრო დონეზე ბევრი რამ გაირკვა, მეცნიერულად დასაბუთდა, პრაქტიკით შემოწმდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში სეიმ გამოყო წარმოების 3 ფაქტორი: მიწა, შრომა, კაპიტალი. მე-20 საუკუნეში სამ ფაქტორს დაემატა მენეჯმენტი-წარმოების ორგანიზება და მართვა; მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სახელმწიფოს როლს (გადასახადები, სუბსიდიები, ბიზნესის ფუნქციონერებისათვის საჭირო სხვა პირობები); სტაბილური და მდგრადი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოლოგიას; წარმოებაზე მოქმედი მრავალი ფაქტორის პირობებში შეუძლებელია ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება კარგად ორგანიზებული ინფორმაციის გარეშე, ამიტომ მას ერთ-ერთ ფაქტორად გამოყოფენ.

ეკონომიკური მოვლენების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ რაოდენობრივად განსაზღვრას, რასაც სტატისტიკა ასრულებს. სტატისტიკურ პრაქტიკას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ, როგორც მეცნიერება, გვიან ჩამოყალიბდა. მისი ერთ-ერთი მიმართულების დამაარსებელია უილიამ პეტი (მე-17 ს.).

ეკონომიკის სინონიმად იყენებენ წარმოებას. მისი განსაზღვრა ისტორიულად განსხვავებულია. სამასი წლის განმავლობაში წამოყენებული იყო სხვადასხვა თეორიები, ძირითადად სამი: წარმოების გაფართოებული თეორია, მატერიალური წარმოების შეზღუდული და საბაზრო წარმოების შეზღუდული კონცეფცია.

გამოყოფენ თეორიულ შეხედულებათა განვითარების 8 ეტაპს. მე-20 საუკუნის ბოლოს გაეროს მიერ აღიარებულია წარმოების გაფართოებული თეორია, რომლის რეკომენდაციით 1993 წლიდან გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაანგარიშების (**SNA**-93) სტანდარტული მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, დინამიკა, ადგილი მსოფლიოში. ქვეყნის შიგნით შესაბამისი მაჩვენებლები – რეგიონების, მუნიციპალიტეტებისა და სოფლების მიხედვით.

საბჭოთა კავშირში გამოიყენებოდა განსხვავებული ანგარიშთა სისტემა (მატერიალური წარმოების შეზღუდული კონცეფციის საფუძველზე), რომელიც არასრულყოფილად ასახავდა ეკონომიკურ მოვლენებს, ამასთან ადგილი ჰქონდა მიწერებს. ასეთი ინფორმაციის გამოყენებით მიღებული კვლევის შედეგები რიგ შემთხვევაში ნაკლებ საიმედოობით ხასიათდებოდა, მაგრამ ინფორმაცია ნებისიერ დონეზე (ქვეყანა, რაიონი, სოფელი) არსებობდა და ხელმისაწვდომი იყო.

ნაკლოვანებათა მიუხედავად, სხვადასხვა კუთხით მონაცემების შეჯერებით, ანალიზით ხერხდებოდა სწორი დასკვნების გაკეთება, განვითარების გზების დასახვა.

21-ე საუკუნეში, როდესაც ფართოდ გამოიყენება კომპიუტერი, ნებისმიერი ინფორმაციის მიღება თითქოს არ უნდა იყოს ძნელი, მაგრამ ასე არ არის.

ამჟამად, საქართველოში მონაცემების გაანგარიშება ხდება გაეროს, სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიით. ის საფუძველზე შედგენილი და გამოქვეყნებული პუბლიკაციები მიმზიდველია, მაგრამ იქ რეგიონების მაჩვენებლები არასაკმარისადაა, ხოლო მუნიციპალიტეტები საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

ქვეყნის დემოკრატიზაციის, თვითმმართველობის რეალურად განხორციელებისათვის აუცილებელია მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე ფუნქციონირებდეს სტატისტიკის მძლავრი სამსახური. ამ ინფორმაციას გამოიყენებენ მენეჯერები, მეცნიერ-სპეციალისტები მდგომარეობის ანალიზის, წინადადებების, რეკომენდაციების შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

2013 წლიდან ქვეყანაში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგია, მაგრამ ფერმერთა საქმიანობას მნიშვნელოვნად აფერხებს მიწების აღურიცხაობა, რეგისტრირებულ მიწათა რუკების ხელმიუწვდომელობა. არ შეიძლება არ შეგშურდეს დიდ ბრიტანეთში მე-17 საუკუნის შუა პერიოდში თუ როგორ ოპერატიულად გადაწყდა იგი, მაშინ, როცა მათ არ ჰქონდათ რუკები, არ იყო ინსტრუმენტები, კვალიფიციური ადამიანები, ტრანსპორტი, მიწის მზომელებს თავს ესხმოდნენ გლეხები. 1652 წელს ირლანდიაში დაწყებული მიწების განაწილება ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში უილიამ პეტის ხელმძღვანელობით წარმატებით დასრულდა. ჩვენთან კი, მე-21 საუკუნეში, კომპიუტერების ეპოქაში, ორ ათეულ წელზე მეტია ეს საკითხი მოუწესრიგებელია. რით შეიძლება ეს აიხსნას? მხოლოდ ხელისუფლებას ამას ვერ დავაბრალებთ. ვფიქრობთ, ამას საზოგადოების მოდუნება, პასიურობაც განაპირობებს. ამიტომ მკვლევარებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოების წევრთა გააქტიურებას წარმოების განვითარების კონკრეტული საკითხებისადმი. ამას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სახელმწიფოსაგან, თუ კერძო ქველმოქმეთთაგან შემწეობის, დახმარების მოთხოვნის მიმართ გააქტიურებას.

მიზანშეწონილია, როგორც რაიონში, ასევე სოფლებში არსებობდეს მარტივი, სქემატური მიწის მთლიანი და ცალკეული მასივების რუკები, რომელშიც ნაჩვენები იქნება ნაკვეთის ფართობის ოდენობა (კვ. მ), მესაკუთრე, მდგომარეობა (მუშავდება, თუ არ მუშავდება).

გურამ ლლონტი

საქართველოში პირველი საესტრადო ორკესტრის შექმნა ვასო გოძიაშვილის სახელთან არის დაკავშირებული და არა გეპეის ორკესტრთან

ჟურნალ „სარკის“ წლევანდელ, 26-ე ნომერში გამოქვეყნდა ლანა კიკნაძის წერილი „გეპეის ორკესტრის ვარსკვლავის გახსნა გადაიდო“. მასში მაია ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის კოლექტივი, რომელმაც საქართველოში ჯაზის დამკვიდრებას ყველანაირად შეუწყო ხელი, ჩვენს ქვეყანაში ჯაზი პირველად ამ ორკესტრმა შეასრულაო.

არა, ბატონებო, საქართველოში პირველი საესტრატო ორკესტრის შექმნა დიდი მსახიობის, ქართული სცენის სიამაყის ვასო გოძიაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. შეგიძლიათ იხილოთ 1966 წლის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მე-5 ნომერში გამოქვეყნებული ვახტანგ გოგოლაშვილის წერილი „ვასო გოძიაშვილი ქართულ ესტრადაზე“.

ნაწყვეტი ამ წერილიდან: „საქართველოში პირველი საესტრადო ორკესტრის შექმნა ვასო გოძიაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. ეს იყო 30-იანი წლების მიწურულს. საქართველოში მიმდინარეობდა უკრაინის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. სწორედ ამ პერიოდში ვასო გოძიაშვილის ხელმძღ-ვანელობით ჩამოყალიბდა ჯაზი, რომელმაც პირველი კონცერტი მოაწყო უშანგი ჩხაიძის სასარგებლოდ გამართულ საღამოზე (უშანგი უკვე სცენაზე აღარ გამოდიოდა, ავად იყო). დასარტყმელ ინსტრუმენტებთან არჩილ ჩხარტიშვილი იჯდა, როიალთან – დავით მაჭავარიანი. ორკესტრში იყვნენ აგრეთვე პროფესიონალები: მოსეშვილი, გვენეტაძე, კასტელოვი და სხვები.

ჯაზის კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ვასო გამოდიოდა, როგორც სოლისტი. მან შეასრულა საესტრადოდ გაორკესტრებული „გენაცვალე“, რომელიც ოთხჯერ გაამეორებინეს.

კონცერტზე მყოფმა ლეონიდ უტიოხოვმა გადაკოცნა ვასო და უთხრა, ყველაფერი ძალიან ნიჭიერად არის გაკეთებულიო“.

ასე დაიწყო საქართველოში დიდი ჯაზის შექმნა.

ეს მნიშვნელოვანი წამოწყება უკვე გზას იკვალავდა, მაგრამ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ჯაზისთვის ვიღას ეცალა.

სხვათა შორის, ვასო გოძიაშვილმა გამოიყენა პირველად მხატვრული კითხვისათვის ზურნა-დუდუკი.

მარი სალუქვაძე,
ოზურგეთის რაიონი, სოფ. ლიხაური.

ექიმი გვირჩევს

კბილებთან დაკავშირებული პრობლემები

პირველი კბილის ამოჭრის კლასიკური დრო 6 თვის ასაკია. ხალხურ მედიცინაში არსებობს ფორმულა, რომლის მიხედვითაც ბავშვს უნდა ჰქონდეს იმდენი კბილი, რამდენითაც მისი ასაკი მეტია 6 თვეზე. პედიატრიაში კი რამდენი თვისაც არის ბავშვი, აკლდება 4 და მიღებული ციფრი არის კბილის სათანადო რაოდენობა.

კბილების ამოჭრა გვიანდება რაქიტის დროს. მიზეზია დარღვეული კალციუმის ცვლა. ბავშვს მეექვსე თვეზე ეჭრება პირველი სარძევე კბილები-ჯერ ქვედა ორი შუა, შემდეგ ზედა ორი შუა. მომდევნო თვეებში ამოდის გვერდითი საჭრელი კბილები და წლის ბოლოს 8 კბილი აქვს. სარძევე კბილების ამოსვლა მესამე წელს მთავრდება.

კბილების ამოჭრის პროცესი ბუნებრივი და ფიზიოლოგიურია, თუმცა ხშირად მტკივნეულიც. ზოგჯერ აღინიშნება ძილის გაუარესებაც, უმადობა, საერთო სისუსტე, ტემპერატურის მატება. არსებობს ჟელეს კონსისტენციის ღრძილების მალამოები, რომელიც ანთების საწინააღმდეგო და გამაყუჩებელ ნივთიერებებს შეიცავს. კბილების ამოსვლით გამოწვეული ტემპერატურა არ უნდა აჭარბებდეს 38 გრადუს C.

პაროდონტოზი

პაროდონტოზი ანუ ალვერლური პიორეა, ანუ ამფოდონტოზი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც იწვევს კბილის ირგვლივ ქსოვილის, კბილბუდის გადაგვარებით ცვლილებებს და თანდათანობით განლევას (ატროფიას) მიზეზი ჯერჯერობით არ არის გამოკვლეული.

დიდი ხნის განმავლობაში პაროდონტოზი შეიძლება ფარულად მიმდინარეობდეს. ხშირად ავადმყოფი აღნიშნავს რომ „სუსტი" ღრძილები აქვს, რის გამოც ღეჭვისა და კბილების წმენდისას ცოტაოდენი სისხლის გამოყოფას ამჩნევს. შეიძლება იყოს ყრუ ტკივილი ღრძილებში, უსიამოვნო გემოვნებით შეგრძნება, ცუდი სუნი პირიდან.

ღრძილების ლორწოვანი მოლურჯო ან წითელი ფერისაა, დასაწყისსი შესიებული, შორსწასულ შემთხვევებში განლეული. თანდათან ღრძილი „დაბლა იწევს" და შიშვლდება სრულიად ჯანმრთელი კბილები. კბილების ირგვლივ ჩნდება პათოლოგიური ჯიბეები, საიდანაც ჩირქი და სისხლი გამოიყოფა. კბილებზე დიდი რაოდენობით ჩნდება ქვები. დროთა განმავლობაში კბილები ირყევა, ადგილს ინაცვლებს.

მკურნალობა ტარდება ექიმ-სტომატოლოგის მიერ. დიდი მნიშვნელობა აქვს პირის ღრუს ჰიგიენის დაცვას თავის შეკავებას სიგარეტის წევისაგან, ალკოჰოლისგან, ზედმეტად ცხარე საჭმელებისგან. საჭიროა სტომატოლოგთან კონსულტაცია, კბილის ქვების მოცილება, სხვა სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება.

„ძლევაის“ ექიმი-სტომატოლოგი
ნანა ლომაძე

სათემო აქცია ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ახალგაზრდული ცენტრის ინიციატივით, 2015 წლის 26 ნოემბერს პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტის“ ბაზაზე ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში გაიმართა სათემო აქცია, რომელიც ითვალისწინებდა სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი ტრადიციული კერძების მომზადებასა და გამოფენას.

აქციის ფარგებში მომზადდა 8 ქვეყნის 21 კერძი. მომზადებაში ჩართულნი იყვნენ კოლეჯის მზარეულობის შემსწავლელი ფაკულტეტის სტუდენტები და პედაგოგები.

აქცია ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი კოლეჯის სააქტო დარბაზში პროგრამის პრეზენტაციას დაეთმო, სადაც შეკრებილ საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა – **PITA** - ს შესახებ.

მოგვიანებით კი, ტოლერანტობის კვირეულის დახურვა გემრიელი კერძების თანხლებით გაგრძელდა.

აქცია საინტერესო გახდა იმით, რომ კოლეჯის სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ სხვადასხვა საინტერესო პროექტები ახალგაზრდული ცენტრის ფარგლებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მასმედიის, ხელისუფლების, გურიის გუბერნიისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, საჯარო სკოლებისა და კოლეჯ „ჰორიზონტის“ თანამშრომლები.

შეხვედრები ტარდება „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" №**PITA-**ს, ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია **UN Association of Georgia - UNAG**, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID/Georgia** ფინანსური მხარდაჭერით.

გურიის რეგიონში პროგრამის პარტნიორია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“

ოზურგეთის ახალგაზრდული ცენტრი ეხმაურება საერთაშორისო კამპანიას „გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

,კამპანიის ფარგლებში ახალგაზრდული ცენტრის ინიციატივით გაიმართა რამდენიმე საგანმანათლებლო სემინარი გენდერული თანასწორობისა და მსოფლიოს „ლიდერი ქალების“ შესახებ.

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, 2015 წლის 27 ნოემბერს ოზურგეთის სპორტის სასახლეში გაიმართა საფეხბურთო მატჩი უცხოელმ ოხალისეებსა და ქართველ ახალგაზრდებს შორის. შეხვედრაში მამაკაცებთან ერთად მონაწილეობდნენ გოგონებიც.

ვფიქრობთ, ქალბატონების განსაკუთრებული ჩართულობა მსგავსი ტიპის ღონისძიებში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გენდერული ძალადობის შემცირების საქმეში.

სპეციალურად აქციისთვის დამზადდა მაისურები მოთამაშეებისთვის.

საფეხბურთო მატჩს ესწრებოდა ადგილობრივი მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, გუბერნიის აპარატის და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ღონისძიებები ხორციელდება "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" №PITA-ს, ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს asociacia **UN Association of Georgia - UNAG**, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID/ Georgia** ფინანსური მხარდაჭერით.

გურიის რეგიონში პროგრამის პარტნიორია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“

აკაკი გოგუა ქალაქის ჩემპიონი

ოზურგეთის 2015 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც ქალაქის 12 საუკეთესო მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას 24 წლის ოსტატობის კანდიდატის, **აკაკი გოგუას** გამარჯვებით დამთავრდა. მან ბოლო ტურში მეტად პრინციპული და გადამწყვეტი პარტია მოიგო, 9 შესაძლებლობიდან 7,5 ქულა დააგროვა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ჩემპიონს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილს დაკავებულდა, გურიის ორგზის ვიცე-ჩემპიონი **გიორგი ვოგოლაური,** მესამე ადგილზე 6,5 ქულით ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი **მიშიკო ქურიძე** გავიდა, ხოლო 12 წლის **თორნიკე მასარაძემ**, რომელმაც ძლიერთა შორის კარგად იასპარეზა , 6 ქულით მეოთხე საპრიზო ადგილი ერგო.

მისასალმებელია, რომ სასკოლო ასაკის თორნიკე მასარაძემ და მიშიკო ქურიძემ (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე) შეძლეს მაღალი კონკურენციის პირობებში წარმატების მიღწევა, რითაც გურიის XX, საიუბილეო ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვეს.

წარმატებულ მოჭადრაკეებს სპეციალურ დიპლომებთან ერთად გადაეცა ფულადი ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები.

ჩემპიონატი ჩატარდა ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრისა (დირ.გ.კვანტალიანი) და გურიის ჭადრაკის ფედერაციის (ხელმძღვ. ზ. ანდღულაძე) ერთობლივი ორგანიზებით.

როგორც გურიის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელმა ზურაბ ანდღულაძემ აღნიშნა, დეკემბრის პირველ ნახევარში ოზურგეთში ტარდება გურიის რიგით მეოცე ,რეგიონალური საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის ჩემპიონატებში გამოვლენილი საუკეთესო მოჭადრაკეები და გურული წარმოშობის სხვა მაღალრეიტინგიანი ჭადრაკის ოსტატები.

მერცხალის მეცხრე მარცხი

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მე- 15 ტურის მატჩში ოზურგეთის „მერცხალი“ კვლავ წარუმატებლად გამოვიდა. ოზურგეთელებმა მცხეთაში „ვით ჯორჯიასთან“ 2:3 დათმეს შეხვედრა. გამარჯვების გოლის მასპინძლებმა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაიტანეს. ეს წლევანდელ ჩემპიონატში „მერცხალის“ მეცხრე მარცხია. ოზურგეთელთა გუნდი ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება

გუნდი	თ	მ	ფ	წ	ქ
ლიახვი	15	11	3	1	36
ცხინვალი	15	10	1	4	31
სამგურალი	15	8	4	3	28
ბორჯომი	15	8	3	4	27
კოლხეთი ხობი	15	7	5	3	26
სქური	15	8	1	6	25
ბეთლემი	15	6	6	3	24
რუსთავი	15	6	4	5	22
ვით ჯორჯია	15	7	0	8	21
გაგრა	14	5	5	4	20
მაჭახელა	15	4	6	5	18
იმერეთი	15	4	4	7	16
სამეგრელო	15	4	4	7	16
ოდიში 1919	15	4	2	9	14
ალგეთი	14	2	6	6	12
მეშახტე	15	2	6	7	12
ჭიათურა	15	2	4	9	10
მერცხალი	15	2	4	9	10
ჩხერიმელა					

ახალი წიგნი

ჩვენი მეგობარი ნოდარის მეხუთე წიგნი

უკვდავია იმედი, როცა ის სულის ჯავარია. არ მიკვირს, რომ პოეტმა ნოდარ დონაძემ თავის მეხუთე წიგნს „იმედი – სულის ჯავარი“ დაარქვა, არ მიკვირს, რადგან ვიცი, რომ სწორედ ბატონ ნოდარსა და მის ტოლ-სწორ კალმოსნებს ხელეწიფებათ წიგნის ტექსტობრივი ნაწილისათვის სათაურის ასე უზუსტესად მისადაგება. იმის თქმა მინდა, რომ ნოდარ დონაძის ამ კრებულში მოთავსებულ ყველა ლექსს მისხალ-მისხალ იმედის ათინათი გასდევს.

მე წილად მხვდა პატივი, ამ წიგნის სასტამბოდ მომზადებაში მცირეოდენი წვლილი შემეტანა და თვითმხილველი ვარ იმისა, თუ რა რუდუნებით, რა სიფაქიზით, რა მოკრძალებით ეპყრობოდა ბატონი ნოდარი მისი მუზის მიერ ამოთქმულ, უკვე ბწკარებად ქცეულ, სასიამოვნო ინტონაციებით მდიდარ პოეტურ ბგერებს, როგორ ვერ ელეოდა ვერც ერთს, თუმცა, წიგნის ფორმატის სიმცირის გამო, რამდენიმე მათგანი იძულებით გვერდზე გადადო.

ბატონი ნოდარი უბრალოებით, თავმდაბლობით, წესიერებით, ყველა ადამიანური ღირსებით გამორჩეული პიროვნებაა, პოეზიაც ასეთივე აქვს, თუმცა, არისტოკრატიული ელფერიც დაჰკრავს მის რამდენიმე ლექსს. ამიტომ შვენიან ისინი ერთმანეთს, ამიტომ უყვართ უსაზღვროდ ერთმანეთი, ამიტომ არ შეუძლიათ უერთმანეთოდ. თუ გინდა ეს კაცი დასაჯო, ლექსის წერა უნდა აუკრძალო და თუ გინდა გასარჯო და დახარჯო, კალამი ხელიდან არ უნდა გააგდებინო.

მე მომწონს სიტყვასთან მისი ჭიდილი, მორიგი მწვერვალისკენ მისი სწრაფვა, ახალი სიმაღლეების აღების წყურვილი და სურვილი.

პოეტური მეტაფორებით გაჯერებული, კარგად გარანდული, რითმით მდიდარი და რიტმულად მტოკავი სტროფების მეტს ამ წიგნში მკითხველი რას შეხვდება, მაგრამ მე მაინც ყველაზე უფრო ერთი კუპლეტი მომწონს, რომელშიც, ზოგადად ახალგაზრდობისა და კონკრეტულად შვილების მიმართ,

ამ სამოცდაათს გადაცილებული პედაგოგისა და პოეტის უკიდეგანო სიყვარული იკითხება:

„სადა ხართ, შვილებო, სადა ხართ?
ვიცი, რომ ყველანი კარგად ხართ,
თუ მშობლებს მალ-მალე არ ნახავთ,
იცოდეთ გავწყრები, „გაგლახავთ“.

მოკლედ, ასეთია ჩვენი მეგობარი ნოდარი და მისი მეხუთე წიგნი.

პირადად ჩემი და გაზეთ „ალიონის“ სურვილია, ბატონმა ნოდარმა ახალ-ახალი, ქარვისფერი ლექსების აკიდებით კვლავაც დახუნძლოს ქართული პოეზია, თავისი „გამლახავი“ ფრაზებით კიდევ დიდხანს, დიდხანს უხმოს, „გაუწყრეს“ და მოესიყვარულოს თავის, „კვიცი გვარზე რომ ხტის“, ისეთ ნაგრამს.

ჩვენ ჩვენი სურვილები გაგაცანით, მკითხველო. მზადა ვართ, ამ საკითხზე შენი შეხედულებები და სურვილებიც გამოვამზეუროთ.

თემურ მარშანიშვილი.

განცხადებები

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში იყიდება 400 კვ. მეტრი ფართის კეთილმოწყობილი საბანკეტო დარბაზი.

ქალაქ ოზურგეთში იყიდება ყველაზე კარგი სახლი.
ტელ. 593. 95 61 83

იყიდება მიწა 9 400 კვ. ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით
ტელ. 593. 95 61 83

იყიდება შეკვეთილში 410 კვ. მ მიწის ნაკვეთი, ივანიშვილის დასასვენებელი სახლის მეზობლად.
ტელ. 599 58 75 32

სკანვორდი



№46-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – მიხეილ ჭიაურელი; ირინა შემოკლებით – ირა, კაკლის ნაყოფი – ნიგოზი; მსახური – ლაქია; ძროხის ძუძუ– ჯიქანი; პროლეტარიატის ჰელადი – ლენინი; თხელი წყალი მდინარეში – ფონი; სახელმწიფო აფრიკაში – ზაირი; ინგლისელი ფეხბურთელი – რუნი; კოპიტი – იფანი; ჭადრაკის ფიგურა – ეტლი; ფირფიტების დასაკრავი ინსტრუმენტი – პატეფონი; ისტორიული ოლქი ესპანეთში - ანდალუზია; რიცხვი – ორი; ურემში ხარის შესაკრავი თოკი – აპეური; თაფლოვანი მცენარე – ანგელოზა; კალმების ასაღები მცენარე – სადედე; საჭურველი – აბჯარი; საეკლესიო გალობის ფორმა – ანტიფონი; სპილენძი – რვალი; დათვის ნაშიერი – ბელი; არგონავთების ხმალდი – არგო; ნაკადული – რუ; ბრაზილიელი ფეხბურთელი - ვავა; სამანი რადში – სე; მეტყველების ორგანო – პირი; ქალაქი საფრანგეთში – ლიონი; ხალხური დღესასწაული – ყველიერი; სმენის ორგანო – ყური; ძვირფასი თვალი – ლალი; შეხედულება – იერი; დანიის დედაქალაქი – კოპენჰაგენი; კაენის ძმა – აბელი; დანაშაული – კრიმინალი, ყველაზე დიდი კუნძული – გრენლანდია

ისტორიის ფურცლებიდან

ეპოქა ფირალთა ზეობისა

(გაგრძელება) დასაწყისი იხილეთ №31, 3 აგვისტო, 2015 წელი

1896 წელს დაარსდა ე.წ. „შუამავალი“ ანუ გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა, რომელშიც ყველა გურულს ჰქონდა უფლება 10 მანეთი საწევროს შეტანის შემდეგ გაწევრიანებულიყო. შუამავალმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჩარჩი ვაჭრებს, დაიწყო მოსახლეობიდან პარკის შეყიდვა და საზღვარგარეთ მისი გასაღება. ფუთი პარკის ფასი ნაცვლად 4-5 მანეთისა, 43 მანეთზე აიყვანა.

პარკი ძირითადად საფრანგეთის ქალაქ მარსელში გაჰქონდათ. იგი იყო მისი ძირითადი საწყობი. იქ აწარმოებდა „შუამავალი“ მის გასაღებას. 1900 წელს მარსელის საწყობში შუამავალს 184000 კილოგრამი პარკი ეწყო თეთრი და ყვითელი ფერისა, ყვითელი პარკი 8 ფრანკამდე ფასობდა, თეთრი-7,50 ფრანკი.

1901 წლის აპრილისათვის მარსელის საწყობში 647000 კილოგრამი პარკი ელაგა. ერთი ფუთი იმდროინდელი რუსული მანეთის შესატყვისით - 58 მანეთი ღირდა. ეს გაუყიდავი პარკის რაოდენობა იყო. გაყიდული „ერთი ამდენი მაინც იქნებოდა“.

ამავე „შუამავალმა“ დაიწყო გურიის მოსახლეობისაგან ყოველგვარი ხილეულის: ვაშლის, მსხლის, ბროწეულის, თხილის შესყიდვა და რუსეთის ბაზარზე, გატანა.

მთელი გურია სავაჭრო ფერხულში ჩაება. გლეხი მარტო სიმინდითა და ღომით როდი ირჩენდა თავს. მის მოწეულ „სარჩოს ხეირიანი ფასი დაედო“. „ფირალობის სოციალური მიზეზი ამ მხრივაც გამორიცხული იყო“.

უხსოვარი დროიდან ჰყვაოდა გურიაში ვაზის კულტურა. სუფსა(მოგროსი) და ნატანები(ისისი) ორ მდინარეთში მიკვლეული ქვევრ-სამარხები ძვ.წ.აღ. 2-7 საუკუნეებით თარიღდებოდა. ქვევრი არა მარტო საუკეთესო სათავსო იყო მერმინდელი გურიის ამ არეალში მოწეული ვაზის იშვიათი ნაჟურისა, არამედ საუკუნო ძვალშესალაგი აქ მოსახლე მეღვინე ტომებისა.

ოზურგეთის მახლობლად, სახელგანთქმულ, „გუმბათიანი და დიდშენი ტაძრით“ დამშვენებულ სოფელ შემოქმედის განაპირა პუნქტში „მესხისეულში“ მოკვლეული კლდეში ნაკვეთი საწნახელი, იშვიათი გამოვლინება „კლდეში კვეთის მესხურის ხელოვნებისა“, შექმნილი 2300 წლის წინად ამავე „მეღვინე ტომთა მიერ“, ზემოაღნიშნულის ნათელი დადასტურებაა.

მოსავალი დიდძალი იცოდა. გურულ ვაზს ნადის გარეშე ვერ მოერეოდი. ასი ან ორასი ძირი ხე მაინც ჰქონდა გაშენებული. ეს ყოველთვეს საკუთარ ადგილ-მამულში, საკუთარ შემოღობილში ჰქონდა. სამას საწყაო ღვინოს სულ მცირე მაინც აყენებდა წელიწადში. საწყაო ორ ფუთს უდრიდა. 600 ფუთი ღვინო ყოველწლიურად თანაც „უშაქრო და მაღალი ხარისხისა, არ იძლეოდა „შიმშილისა და გაფირალების“

საშუალებას.

ღვინო გაჰქონდათ „გურიის საზღვართა გარეთ“ „უცხოელი მოგზაურები გურულ ღვინოს ფრანგულს (ბურბუნდიულს) ადარებდა.

ღვინო, მსგავსად ყურძნის ჯიშებისა, მრავალი სახეობისა ჰქონდა „ტენდენციური წერილობითი წყაროებითა“ და „საბუთებით“ ძალად გაღატაკებულ გურულს, შესაბამის შეჭამანდთან ერთად.

„ბოლოს წულაძე გადმოგვცემს: 50-60 წლის წინად (საუბარია 1905 წლის რევოლუციის უმძაფრეს ეპოქამდე) მთელი გურია, შავი ზღის პირიდან თავსურებამდე პრიმიტიულად გაშენებული მაღლარი ვენახის ბაღი იყო. ვენახის გაშენებას დიდი შრომა და ოსტატობა არ სჭირდებოდა . გურული თოხით ან ბარით ხეს ძირში ამოუჩიჩქნიდა ვაზის დასაფარავ მიწას, წაქცეულად-წაფერდებულად „ჩააკეტებდა" შიგ ვაზის ლერწს. ცალი ფეხით მიწას მიატკეპნიდა. ასე მირგული ვაზი მესამე წელიწადს ნაყოფს ისხამდა. მერმე მასზე გაწეული შრომა იყო მხოლოდ მოკრეფა, ღვინის დაყენება, ჭურში ჩასხმა, ამოღება და დალევა... იშვიათად, 5-6 წელიწადში ვინც ერთხელ წალდს თუ წაკარებდა, შესხლავდა და ძველ ვაზს გადაამაგინებ-და-გადაწვენით „გააახლებდა“, კარგ მევენახედ და გულ-შემჭირნედ ითვლებოდა.

ვენახების მეტი წილი ასეთ მზრუნველობას მოკლებული იყო, მაგრამ მაინც უხვად ისხამდა. ახლაც არიან იმისი მომსწრე მოხუცები, რომ ძველ ჩხავერს ღვრიდნენ და ჭურში ახალს ასხამდნენ. ისეთი სიუხვე ყოფილა ღვინისა, რომ ფასი არ ჰქონია და თვითონ დასახარჯავად ვერ მორევიან. მართალია წინათ არ ლოთობდნენ მაგრამ ღვინო მაინც ბევრი უნდოდათ, რადგან უღვინოდ არა თუ იჯრას, არამედ „ხეფსსაც" არ მიირთმევდნენ. ყანის მუშას საიჯრო ღვინო მუდამ თან მიჰქონდა. ერთი სიტყვით გურულს თუ ღვინო ჭურში ეგულებოდა, სტუმრის არამცთუ ეშინოდა, პირიქით, ეძებდა კიდეც. ღვინო იყო მისი ოჯახის სასახელებელი, უღვინობა-„მომჯაყველი“.

გურულს „მონათლულობით“, ე.ი. ქრისტიანობით თავი მოსწონდა-ღვინო კი ქრისტიანობის ემბლემაც იყო. ქრისტიანს ღვინო უნდა დაელია და, გურულის თქმით ვინც ღვინოს არ სვამდა, უნათლავი იყო. ღვინო იყო ზედაშე და ზიარება. ორივე კი ქრისტიანობის ბურჯი. ვინმე რომ გარდაიცვლებოდა - ჭირისუფალი თუ კარგ ზედაშეს გააყოლებდა, მიცვალებული ცხონდებოდა, კაი ზედაშე გაყვაო, იტყოდნენ. ამიტომ ზედაშის მოყვარული მოხუცი თავის საზედაშე ღვინოს სიცოცხლეშივე იმარაგებდა-ჩემს ტირილზე დახარჯეთო, ანდერძს ტოვებდა. რაკი ღვინის ასეთი პატივისმცემლები იყვნენ, ამის შემდეგ არაფერია გასაკვირი, თუ ვიტყვით, რომ ძველ გურულს ჭურები მარანში განკუთვნილი, გაპიროვნებული და დაგეგმილი ჰქონდა - იცოდა რომელი ჭური როდის (მოეხადა) მოეთხარა.

საიჯრო ჭურში ყოველდღიურად სახარჯო, ულუფის, სუფრის ღვინო ჰქონდა.

საკალანდოს ახალ წელს მოხდიდა მხოლოდ. უნდა ყოფილიყო საუკეთესო „თეთრად გამოღებული“ ღვინო, მაგარი ცეცხლი უნდა შეყოლოდა.

სადედაღვითისოს 8 სექტემბერს- ღვთისმშობლობას მოხდიდა.

საღმრთო - საუფლისწულო დღესასწაულებში იხარჯებოდა.

საეტლოს - საეტლო წირვის დროს მოხდიდა. ყველა ოჯახის წევრს უნდა გადაეხადა ეს წირვა სიცოცხლეში ერთხელ. ამისთვის მას თავზე შემოარებდნენ ცხვარს, რომელიც უნდა დაეკლათ. ვინც ამას შეასრულებდა, „ეტლგადახდილი“ იყო, „ეტლმოუხდელი" კი შეიძლება რაიმე ავადმყოფობით, ან მარცხით მომკვდარიყო.

იყო „საუცოდინარო“ ჭურიც, ფანატიკოსი მორწმუნე ხუცესს აწირვინებდა და ღმერთს სთხოვდა ყველა ის ცოდვა შემინდე, რაც ჩამიდენია და არ ვიცი-ჩემი უცოდინარობით მომსვლიაო.

საგიორგობო.

საფერისცვალებო,

სამთავარანგელოზო,

საღვთისმშობლო ან სხვა. ჭური ატარებდა იმ წმინდანის სახელს, რასაც ატარებდა ის ეკლესია, რომლის მრევლიც იყო ჭურის პატრონი.

როგორც საკურთხეველში ეკრძალებოდა ქალს შესვლა, ასევე ეკრძალებოდა მას მარანზე მისვლა და ჭურიდან ღვინის ამოღება. თუ მასპინძელი კაცი შინ არ იყო, ან უკაცო ოჯახი გახლდათ, მაშინ მეზობელს სთხოვდნენ ღვინო ამოგვიღეო. მარანს მუდამ სიწმინდით უვლიდნენ.. შემთხვევით ჭურის თავზე ღორს რომ გაევლო ხუცესს მოიყვანდნენ და აიაზმას მოასხურებდნენ. ღვინოს იღებდნენ სიწმინდითა და სასოებით, კრძალვითა და რიდით.

... გურული ღვინის კულტის ფანატიკური მიმდევარი იყო და ყოველ ჟამს ცდილობდა ღვინის ღმერთი მადლიერი ჰყოლოდა. ეს მისი პატივისცემა ალბათ სიმღერითაც გამოიხატებოდა. ეს სიმღერა არის ა-გიდელა და აგუნა.

ა-გიდელა რთველის სიმღერაა-გურიაში რთველს, სტველს ეძახიან (ზოგან-სთველს). რთველი იწყებოდა კრეფა-ტეხის შემდეგ „ნადიმიტრობებს"... მაღლარი და განსაკუთრებით ჩხავერი, დათრთვილვის შემდეგ უნდა მოკრეფილიყო, რადგან მსუბუქი ყინვა უფრო დაატკბობდა ნაყოფს:“

აგუნა ღვინის ღვთაება იყო. დამდეგ კალანდას, „ცხემლისჭრა საღამოს“ „დაბინდებისას“, მამრობითი სქესის ოჯახის წევრები დიდი და პატარა მარანზე მიიტანდნენ გობს, რომელზედაც ეწყო ღორის თავი, სააგუნე ხაჭაპური და ერთი დოქი ღვინო. ოჯახის უფროსი შუა მარანში ჭურის თავზე, გობს დაადგამდა, „სამ ღერ“ შინ ჩამოქნილ წმინდა სანთელს გობის სხვადასხვა კუთხეში სიმეტრიულად მიამაგრებდა და „მოუკიდებდა“. გობს სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და ღმერთს ხმამაღლა შესთხოვდა - „მშვიდობის წელიწადი გაუთენოს მის ოჯახს, მისცეს უხვი მოსავალი ღვინის და ყოველგვარი „ნამუშიერის" ... სასმისით დალევდა ღვინოს, ზედ დააყოლებდა ხაჭაპურსა და ღორის თავიდან ჩამონათალს ერთ ლუკმას. სასმისს უფროსობის კვალობაზე სხვას გადასცემდა-თითოეული დალოცვის შემდეგ ღვინოს გადაკრავდა და სხვას გადასცემდა. დანაყრების შემდეგ იწყებოდა აგუნას გადაძახება - აგუნას სიმღერა. მიდიან საწნახელთან, ყველას ხელში აქვს კომბალი-ყურძნის ჩასაჭყლეტი ურო,

(გაგრძელება იქნება)

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

ნახვამდის - არა მშვიდობით...

დათო შალიკაშვილს

თითქმის იწურება 40 დღე, რაც ამ ბინდისფერ სოფელს განგაშორა უფალმა, დათო, ჩემო დაუვიწყარო მეგობარო. ახლაც თვალწინ მიდგას ის ბედნიერი დღეები, როცა ჩვენ სამნი - ავთო, შენ და მე მეგობრობას ვიწყებდით. მაშინ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. ჩვენ უფლის, სამშობლოსა და ხელოვნების სიყვარული გვაერთიანებდა. ჩემს სახლში, სადაც ხშირად ვიკრიბებოდით, თითქმის არაფერი შეცვლილა. კედლებს ახლაც ამშვენებს თქვენი არაჩვეულებრივი ნახატები, და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენს მეგობრობას, და-ძმობას დავიწყების ფერფლი არ მიჰყრია.

შენ გამოგვაკლდი... გაუსაძლისია ეს ტკივილი, მიუხედავად იმისა, რომ ღვთის ნებით, ვიცი, უკვდავია ადამიანის სული და შენ კი არ მოკვდი, არამედ გარდაიცვალე, მიღმურ სამყაროში გადასახლდი. წახვედი ასე ახალგაზრდა – სათნოდ და სიყვარულით აღზრდილი ბიძისა და დეიდებისაგან, რომელთაც შვილივით უყვარდი და მათი შვილებისთვისაც შენც იყავი ერთგული სახლიკაცი და სანდო მეგობარი. შენ შენი ვალი ლამაზად მოიხადე ერის წინაშე – სამი ვაჟკაცი აღუზარდე სამშობლოს.

შენ სამშობლო გიყვარდა ღრმა და წრფელი სიყვარულით. შენ ერთ-ერთმა პირველმა იგრძენი თავისუფლების სიოს ქროლვა. ამ ქროლვის სიდიადემ მიანიჭა შენს გამოსვლებს ძალა. ალბათ, ეს დიდი შინაგანი ენერგია შენიშნა დიდმა მერაბ კოსტავამ და ამიტომაც ყველას წინაშე გაუსვა ხაზი შენს ღვაწლსა და სანდოობას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

შენ იყავი სულითა და ხორცით არისტოკრატი, ერთგული მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე და კაცი, ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ:

„რომელიც ამ დროს საჭირო არის,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა“

შენ გწამდა უფლის და ჩოხაში გამოწყობილი, თეთრ ცხენზე ამხედრებული ხვდებოდი უწმინდესსა და უნეტარესს.

დათო, არ მავიწყდება, გითხრა, რომ შენ საოცარი მხატვარი იყავი, შენი ნამუშევრები, აბსტრაქციები სითბოთი და სიმართლით ანათებენ. შენ შეგეძლო ხაზები აგევსო სიყვარულით და მერე ჩვენთვის გეჩუქებინა.

რატომ იყავი ასეთი კარგი... შენ არ შეგეძლო სხვანაირი ყოფილიყავი. წახვედი მონატრებული. გულში ფერად-ფერად ბარათებს გწერდი. მინდა, შენმა სულმა ისინი წაიკითხოს, ჩემო დათო, ჩემო შალიკია, ჩემო ვაჟკაცო, მორიდებულო და სპეტაკო მეგობარო. ნახვამდის – არა მშვიდობით...

ჩემს ლოცვებს მუდამ ემახსოვრები.

შენი **მანოლა**.

გალაკტიონ ტაბიძეს

ლექსის ღვთაებავ, მუზის ბერმუხავ,
მე მხოლოდ შენ გთვლი დღეს უკვდავებად,
შენი ყოველი ლექსის კითხვისას,
თვალწინ მიდგახარ, როგორც ღვთაება.
ხორცი შეასხი ქართულ ლირიკას,
ამეტყველე გრძნეულთა გული,
ოქროს ზოდებად დატოვე ხალხში
ლექსები მწველი, ჯერარნახული.
იმრეულ ნანას გამოუზრდიხარ,
იმრეთს შენით გაუხარია,
შენი ლექსები ამღერებულა,
ამღერებულა ქვეყნად ქნარია.
ჭყვიშში იფეთქა პირველმა ბგერამ
პატარას, პირშმოს ჩვილი გულისა,
იქ ჩაგენერგა მარადიული
გრძნობა, ალერსი სიყვარულისა.
ნანას გიმღერდა დედა მგზნებარე,
ნანას გიმღერდა შმაგი რიონი,
ჩუმად, ბუტბუტით იმეორებდა,
დაიბადო გალაკტიონი!
დაიბადო გალაკტიონი! –
მთელ საქართველოს დაუმღერია,
სამშობლოს აწმყო და მომავალზე
შენსავით არვის არ უმღერია.
ო, მაკადღებს შენი ლექსები,
სიტყვა და აზრი მართალი, წრფელი,
ერის სატკივარს გულში იდებდი,
ალბათ, ის გქონდა ხელუხლებელი.

შენს პოეზიას ხატად დავიდგამ,
ლამპრად ავანთებ შენს ლექსთა პწკარებს,
რადგან ლექსშია ჩემი სიცოცხლე,
სადაც ავახელ ოცნებით თვალებს.
დაბადებულვარ შენზე მლოცველი,
შენი დიდება გულს მიხატია,
დღეს, რომ სიმღერად გადაქცეულა
„დედაო, ღვთისა, მზეო მარიამ“.
გულში ჩუქურთმად ამომიკვეთავს
გრძნობებით სავსე ეს „მე და ღამე“,
ჩაუთვლემელად როგორ გაძელი,
როგორ ევნე და როგორ ეწამე?!
როგორ გაუძელ ამდენ გულისთქმას,
იმ გრძნეულსა და კაშკაშა ღამეს,
ვინ იცის, იქნებ ცრემლის წვეთები,
შეუჩნეველად ნამავდა ბაგეს.
ვერც ქალის ხვევნამ დაგიმორჩილა,
ვერც ღვინით სავსე თასმა ხელადა,
ნეტავ ვიცოდე, გულის სიღრმეში
ასეთი რამე შენ რა გებადა?
დაჰქრი, არ აყენებ რტოებს ზიანს,
აუ, სულ ეს ქარი იყოს მინდა!
ქართულ პოეზიას, უკვდავს, დროებმზიანს
ანათებ, ვითარც სვეტი ნიკორწმინდა...

მანანა ჩხაიძე,
სახალხო მკურნალი,
ქ. ოზურგეთი, რუსთაველის 142.

ავტომობილები განვადებით

მიცუბიში აირტეკი – 2002 წ. – 1350
პაჯერო იო – 2002 წ. – 1700
ტოიოტა ვოქსი – 2004 წ. – 1250
ტოიოტა პასსო – 2010 წ. – 1600
ტოიოტა რავ-4 – 2000 წ. – 3100
ნისან ტიიდა – 2005 წ. – 1400
ნისან მარჩი – 2004 წ. – 1000
ნისან ფუგა – 2005 წ. – 2100
ჰონდა ფიტი - 2008 წ. – 1650
ჰონდა ცრვ – 2003 წ. – 2400
ფონდა სივიკი - 2003 წ. – 1200
მაზდა დემიო – 2003 წ. – 900
მაზდა მპვ – 2004 წ. – 1100
მაზდა ტრიბუტე – 2003 წ. – 1300
სუზუკი ქარი ტრიუკი – 1999 წ. – 1150
სუბარუ ფორესტერ – 2002 წ. – 1350
სუბარუ ლეგასი – 2005 წ. – 1700
სიბარუ ოუტბაქსი – 2004 წ. – 1550
მერსედესი ე კლასი – 2003 წ. – 3700
ბმვ 525ი – 2004 წ. – 4050

ფასები მითითებულია აშშ დოლარში

მანქანის ჩამოსვლის შემდეგ იხდით კონტეინერის თანხას

ტელ. 595 11 10 30; ზურა, 598 47 47 03 დათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.

პირად ჩემპიონატში ოზურგეთელმა ზურაბ ქავთარაძემ, ხოლო გუნდურში ლანჩხუთის ნაკრებმა იმარჯვა

ალიონი ამ თვის დასაწყისში ოზურგეთის სპორტის სასახლეში 2 დღეს მიმდინარეობდა ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ჩემპიონატები მოკლე ნარდში, რომელშიც 100-მდე ნარდის მოყვარული მონაწილეობდა. შეჯიბრების სპონსორი „ლიბერთიბეთი“ გახლდათ. ქ. ოზურგეთის ჩემპიონი ბეჟან ცეცხლაძე, ხოლო თემების მუნიციპალიტეტის ჩემპიონი ავთანდილ მახარაძე გახდა.

მოეწყო გამარჯვებულების და პრიზიორების დაჯილდოება. შეირჩა ორთავე მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები.

მსგავსი ჩემპიონატები ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებშიც ჩატარდა. აქაც შეიქმნა ნაკრები გუნდები.

გასულ პარასკევს, ოზურგეთის სპორტის სასახლეში გურიის ჩემპიონატი გაიმართა მოკლე ნარდში. ამჟამადაც შეჯიბრებას საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი თეიმურაზ ქურციკიძე უძღვებოდა. გურიის ნარდის ფედერაციამ (თავმჯდომარე თამაზ სალუქვაძე), შეჯიბრების მთავარ მსაჯად ხალამპრე დოლიძე წარადგინა.

თავდაპირველად პირადი ჩემპიონატი ჩატარდა გურიის უძლიერესი მონარდის გამოსავლენად. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. უძლიერესის ტიტული ოზურგეთელმა ზურაბ ქავთარაძემ მოიპოვა. მან ფინალში, დაძაბულ ბრძოლაში ჩოხატაურელი პაატა ბერიშვილი დაამარცხა. მე-3 ადგილზე ოზურგეთელი ბეჟან ცეცხლაძე გავიდა. მე-4 ლანჩხუთელი დათო რამიშვილი იყო.

გუნდურ ჩემპიონატებში 7-7 მონაწილე გამოდიოდა. დრამატულად წარიმართა ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების შეხვედრა. ვინაიდან ფინალური ორთაბრძოლის წინ ლანჩხუტელები კაცნაკლული იყვნენ, მათ „შევსება“ ოზურგეთის ნაკრებიდან მიიღეს. საბოლოოდ 4:3 ლანჩხუთელებმა გაიმარჯვეს. გადამწყვეტი ქულა სწორედ ოზურგეთელმა მონარდემ შესძინა სტუმრებს.

მოეწყო გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება. ინდივიდუალურ ტურნირში მე-4 ადგილზე გასულს მობილური ტელეფონი, მე-3, მე-2, პირველ ადგილებზე გასულებს შესაბამისად 100,200, 300 ლარი გადაეცათ.

დაჯილდოვდნენ გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებული და მეორეადგილოსანი გუნდები. გაიცა სხვა პრიზებიც.

თეიმურაზ ქურციკიძემ ნარდის ახალი კომპლექტები გადასცა გურიის ნარდის ფედერაციას. ხოლო ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ჩემპიონი ავთანდილ მახარაძე ნარდის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტად (გურიის ნარდის ფედერაციის წარმომადგენელი) დაასახელა.

გურიის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ სალუქვაძემ განაცხადა, რომ მომავალი წლის დასაწყისში მაღალ დონეზე ჩაატარებენ გურიის ქალთა ჩემპიონატს.

გურიის ნაკრებმა შაბათს ქ. ქუთაისში ნარდის ტურნირში მიიღო მონაწილეობა. გურიის ნარდის ფედერაცია უახლოეს დღეებში ახალ ოფისში გადავა.

ანეკდოტები

– უკანასკნელად გეუბნები: დამიბრუნე ის 100 დოლარი, ექვსი თვის წინ რომ გასესხე!

– კიდევ კარგი, უკანასკნელად რომ მეუბნები, თორემ დამწყდა უკვე ნერვები!

XXX

– შენს ქმარს გული ისევ აწუხებს?

– არა, ექიმმა რაღაც წამალი გამოუწერა და იმას სვამდა.

– ესე იგი, მორჩა?

– არა, გარდაიცვალა!

XXX

სვანს აჩერებს ინსპექტორი:

– რატომ გადააჭარბეთ საათში 80 კმ სიჩქარეს?!

– რის საათში, რა საათში?! ჯერ მხოლოდ 15 წუთია, რაც მანქანა ადგილიდან დავძარი.

XXX

როცა სახლში ხანძარი გაჩნდა, თავგამოდებით შევვარდი შიგ და ჩემი სიდედრი გამოვიყვანე.

– ჰო, ასეთ დროს მართლა ებნევა ხოლმე კაცს თავგზა.

XXX

ბიჭუნა მამასთან მივიდა და ეუბნება: მამიკო, დახუჭე რა, თვალები.

– რატომ?

– დედიკომ თქვა, როცა მამაშენი თვალებს დახუჭავს, ჩვენი ცხოვრება უფრო საამური გახდებაო!

XXX

– გუშინ სამსახურში ძალიან პრინციპულად მოვითხოვე სამართლიანობა.

– მერე რა შედეგს მიაღწიე?

– დღეს უკვე სამსახურს ვეძებ.

როლანდ თავაძე

7 დღის ამინდის პროგნოზი

30 ნოემბერი, ორშაბათი	1 დეკემბერი, სამშაბათი	2 დეკემბერი, ოთხშაბათი	3 დეკემბერი, ხუთშაბათი	4 დეკემბერი, პარასკევი	5 დეკემბერი, შაბათი	6 დეკემბერი, კვირა
მზე +8+16	ძლიერი წვიმა +5+11	წვიმა +3+9	წვიმა +2+11	მზე, ღრუბელი +7+12	მზე +9+18	მზე, ღრუბელი +6+14